



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა  
შინაგან საქმეთა სამინისტრო  
სამართალდამრღვევად ცნო

## სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ეცნობა, რომ 2020 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ინსპექტორმა შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად ცნო.

2019 წლის 15 ოქტომბერს საია-მ განცხადებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების ფაქტზე რეაგირების განხორციელების მოთხოვნით. კერძოდ, სამინისტრო ინახავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩაღების შესახებ ინფორმაციას არაგონივრული ვადით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში, ელექტრონულ ფორმატში ჩანაწერების უვადოდ შენახვა დაუშვებელია. ამასთან, გარკვეული ჩანაწერების შენახვის საჭიროება არსებობს 1 წლის ვადით. მიუხედავად ამისა, საიას მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო პრაქტიკაში მაინც 1 წელზე მეტი ვადით ახდენს ინფორმაციის შენახვას.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული შემოწმების შემდეგად, დადასტურდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. მიღებული გადაწყვეტილებით,

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცნობილა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ავტომატური დამუშავების გზით შენახვისა და გამოყენებისთვის. ამასთან, შსს-ს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი;

- შსს-ს დაევალა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 6 თვის ვადაში ერთიან საინფორმაციო ბანკში აღრიცხულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრა და შესაბამისი ზომების მიღება, რომლებიც ზემოაღნიშნული კანონიერი მიზნების მიღწევის შემდეგ დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს აღრიცხული მონაცემების ნაშლას, განადგურებას ან შენახვას პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით;

- შსს-ს ასევე დაევალა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 4 თვის ვადაში ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთიან საინფორმაციო ბანკში აღრიცხულ მონაცემთა სხვა დანესებულებებისთვის გადაცემის საფუძვლის სათანადო იდენტიფიცირებას, მონაცემთა გადაცემას მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნის არსებობისას და მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელი იქნება კანონიერი მიზნის მისაღწევად.